ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №301-2015

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 6 ოქტომბერს ქ. თბილისში

შემსყიდველი: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქეთი ქოქრაშვილი

მიმწოდებელი: შპს „იბერია ტექ ავტომოტივი"
მენეჯერი ბაკურ ჯიქია

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი,** ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლების ფარგლებში (CPV50433000-დაკალიბრების მომსახურება), კერძოდ:

1.2. ერთი ერთეული გაზოანალიზატორის დაკალიბრება 3 კომპონენტიანი გაზით, ღირებულებით 200 ლარი

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა

2. ხელშეკრულების ფასი, ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: **200** (ორასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი.

3.3. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება მოხდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან ჯ. იოსებიძეს (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №509 დეპარტამენტის ხელმძღვანელი) შორის.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" გაზომვის საშუალებების და ყველა საჭირო დოკუმენტის დროულად წარდგენა.
- გაზომვის საშუალებების „შემსყიდველის' ტერიტორიაზე დაკალიბრებისას უზრუნველყოს „მიმწოდებელი" ნორმალური სამუშაო პირობებით და საჭიროების შემთხვევაში დამხმარე პერსონალით
- ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს გაზომვის საშუალებების დაკალიბრება დროულად და ხარისხიანად.
- გაზომვის საშუალებების დაკალიბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში უზრუნველყოს გაზომვის საშუალების დადაღვა ან/და გასცეს სერტიფიკატი

დაკალიბრების შესახებ, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, „დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გასცეს შესაბამისი დასკვნა. დაკალიბრების სერტიფიკატში ასახული იქნება შემდეგი ინფორმაცია: -დაკალიბრების სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციის დასახელება, -ორგანიზაციის მისამართი, -აკრედიტაციის სერტიფიკატის ნომერი, -დაკალიბრების სერტიფიკატის ნომერი, -დაკალიბრების თარიღი, -დასაკალიბრებელი გამზომი საშუალების დასახელება, ტიპი, ნომერი, -ეტალონური გაზომვის საშუალებების ჩამონათვალი, რომელთა მეშვეობით განხორციელდა დაკალიბრება, -მიკვლევადობა, -რეკომენდირებული შემდგომი დაკალიბრების თარიღი, -სერტიფიკატის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების ხელმოწერა, -ორგანიზაციის ბეჭედი, -ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელთა მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა დაკალიბრება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადების დაგვიანებისას დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7. ფორსმაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნა ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. დავის გადაწყვეტა

8.1. სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 20 დეკემბრამდე.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულებებს პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველის მხრიდან

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"
ქ. თბილისი, კოსტავას 77
„სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი:TRESGE22; ს.კ. 211349192
ა/ა 708977289

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ.ქოქრაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან

შპს „იბერია ტექ ავტომოტივი"
თბილისი, დ.აღმაშენებლის ქ.

სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი BAGAGE22
ა.ა. GE29BG0000000153512100
მენეჯერი
ბ. ჯიქია

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

06.10.2015

ქ. თბილისი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები შპს „იბერია ტექ ავტომოტივი"-სთან.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ქ. ქოქრაშვილი

სტუ-ს შესყიდვების დეპარტამენტის

უფროსი ე. ივანიშვილი

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის №509 დეპარტამენტის

ხელმძღვანელი ჯ. იოსებიძე